ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 03-46/2

ქ. თბილისი **31 მარტი, 2017 წ.**

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის **მამუკა ბერიძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2 200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „კოხტა კუდები", წარმოდგენილი დირექტორის **თინათინ თურქიას** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ტ.ტაბიძის ქ 48.
ტელ: 599 414 203
ს/ს „თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/N GE13TB7662636080100001
ს.კ 204931191

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 30.03.2017წ. №306528 სამსახურებრივი ბარათის, 2017 წლის 31 მარტის საქართველოს მთავრობის N637 განკარგულების საფუძელზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 27.03.2017წ. SMP170000849 თანხმობის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 27.03.2017წ. №966 განკარგულების გათვალისწინებით და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია 2017 წლის 29 მარტიდან 2017 წლის 4 აპრილამდე მცირე სკოლების მოწავლეების სამთო-სათხილამურო სპორტში ჩართვისა და გამაჯანსაღებელი დასვენების მიზნით მომსახურების (CPV80415000) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **9796.00 (ცხრა ათას შვიდას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარს.**
3.2 ერთ მოსწავლეზე მომსახურების ღირებულება შეადგენს **316.00 (სამას თექვსმეტი) ლარს.**
3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასი მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

№	მოსწავლეების რაოდენობა	მომსახურების აღწერილობა	დღეების რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1.	31 მოსწავლე	1.მოსწავლეების ტრანსპორტირება შემდეგი მიმართულებით: □ 29 მარტს აჭარიდან და გურიიდან დაბა ბაკურიანამდე და 4 აპრილს დაბა ბაკურიანიდან უკან; □ 29 მარტს კახეთიდან დაბა ბაკურიანამდე და 4 აპრილს დაბა ბაკურიანიდან უკან; □ 29 მარტს იმერეთიდან დაბა ბაკურიანამდე და 4 აპრილს დაბა ბაკურიანიდან უკან 2. სატრასპორტო მომსახურება განთავსების ადგილიდან საბაგირომდე; 3. საცხოვრებელი პირობებით და კვებით უზრუნველყოფა; 4.სპორტული აქტივობა (სათხილამურო სრიალი) და სრიალისთვის განკუთვნილი სათხილამურო ეკიპირებით უზრუნველყოფა (5 დღე); 5. საბაგიროს აბონიმენტით და ინსტრუქტორის მომსახურების უზრუნველყოფა (5 დღე)	6 ღამე 7 დღე	316.00	9796.00

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყარო: 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი „საზაფხულო სკოლების" პროგრამა „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" (პროგრამული კოდი-32 02 07)

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. მომსახურების გაწევის პირობები ვადები და ადგილი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2017 წლის 29 მარტიდან 4 აპრილამდე უზრუნველყოს:
6.1.1. მოსწავლეების ტრანსპორტირება შემდეგი მიმართულებით:

- □ 29 მარტს აჭარიდან და გურიიდან დაბა ბაკურიანამდე და 4 აპრილი დაბა ბაკურიანიდან უკან;
- □ 29 მარტს კახეთიდან დაბა ბაკურიანამდე და 4 აპრილი დაბა ბაკურიანიდან უკან;
- □ 29 მარტს იმერეთიდან დაბა ბაკურიანამდე და 4 აპრილი დაბა ბაკურიანიდან უკან;

განთავსების ადგილიდან საბაგირომდე უნდა მოხდეს მოსწავლეთა ტრანსპორტირება. სატრანსპორტო საშუალება გათვლილი უნდა იყოს მოსწავლეთა რაოდენობაზე, უნდა იყოს ტექნიკურად გამართული, უნდა ჰქოდენს გათბობა-კონდიცირების სისტემა, ტრანსპორტის მძღოლს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა.

6.1.2. 31 მოსწავლე საცხოვრებელი პირობით და 6 ღამის განმავლობაში განათავსოს დაბა ბაკურიანში, წაქაძის ქ. მდებარე სასტუმროში „კოხტა კუდები", შემდეგი პირობების დაცვით: საძინებელ ოთახში თითოეული ბავშვისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს განსაზღვრული თავისუფალი სივრცე, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი პირადი ნივთების განთავსების საშუალებით; საძინებელი ოთახი არ უნდა იყოს გადატვირთული; სასურველია საძინებელს გააჩნდეს საკუთარი სველი წერტილი ან/და სველი წერტილი უნდა იყოს შენობაში; გოგონები და ვაჟები უნდა განათავსონ ცალ-ცალკე ოთახებში. შენობაში დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების ზომები.

6.1.3 მოსწავლეები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ჯანსაღი და დაბალანსებული კვების რაციონით, დღეში სამჯერ + დესერტით (დღეში ერთხელ) 6 დღის განამვლობაში, ხოლო მე-7 დღეს 4 აპრილს საუზმით.

6.1.4 5 დღის განმავლობაში უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის სპორტული აქტივობის განხორციელება (სათხილამურო სრიალი), თითოეული მოსწავლეს სრიალის დროს უნდა გააჩნდეს სათხილამურო ეკიპირება (თხილამურის პეხსაცმელები, თხილამური, თხილამურების სასრიალო ჯოხები, ჩაფხუტი).

6.1.5 უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების ზომები და სწორედ უნდა შეარჩიოს სასრიალო რელიეფი, ამინდის გათვალისწინებით.

6.1.6 5 დღის განმავლობაში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ საბაგიროს აბონიმენტით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორით, რომელსაც ექნება გადაუდებელი სასწრაფო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ცოდნა, უბედური შემთხვევის დროს, დაშავებულისათვის ლოკალურად დახმარების გაწევისათვის. სასწავლო ჯუფები დაკომპლექტებული უნდა იყოს 2-დან მაქსიმუმ 8 მოსწავლით, სასურველია ასაკობრივი ჯგუფებისათვის სხვადასხვა კატეგორიის მწვრთნელის მიმაგრება.

6.1.7 დღის მეორე ნახევარში უზრუნველყოს მოსწავლეები სხვადასხვა გასართობ -შემეცნებითი აქტივობებით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

7.5მოსწავლეთა განათვსების ადგილზე მათ უსაფრთხოებზე იზრუნებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური).

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) შტატგარეშე მოსამსახურე-**პროექტის მენეჯერი სოფიო ჩიტაძე.**

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარვეზით შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.3 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
9.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.
9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.5 იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოს კანონდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა რითაც ერთერთი მხარე ვეღარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
11.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.
11.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი

პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 5 მაისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**შპს „კოხტა კუდები“**
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მ/შ **მამუკა ბერიძე**	დირექტორი **თინათინ თურქია**
----------	----------